პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 იანვარი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 4 (15521)

ახალ წელს — ახალი ენერგიით!

ნარმატებით დაამთავრა გასული წელიწადი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა. ბევრმა მუშამ ისახელა თავი საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ შორის არიან საამწყობო საამქროს მუშები, რომლებსაც ამ სურათზე (ზემოთ) — ხედავთ. მარცხნიდან — ვ. ობგაიძე, რ. კვირიკაშვილი, ვ. ვოლოშინი, ც. ფერაძე, ი. კობისოვი და კ. აზნიაშვილი.

ს. კილაძისა და ბ. ბოგოსიას ფოტო.

• • •

ბასული ხაშურნეო წელი წარმატებით დაამთავრა გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივმა. ჩაის საკრეფი მანქანების მექანიზატორებმა საშობაოდ მიხცეს ათობით ტონა ზეგეგმითი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. ახლა, 1973 წლის პირველ დღეებში ჩაის პლანტაციებში სახამთრო სამუშაოები მიმდინარეობს. ამასთან ერთად ჩაის საკრეფი მანქანებით უხეშ ჩაის ფოთოლს კრეფენ.

წელს მეურნეობამ ჩაის ფაბრიკას უნდა ჩააბაროს 430 ტონა უხეში ჩაის ფოთოლი, უკვე ჩაბარეს 200 ტონაზე მეტი. ენერგიული შრომით თავი ისახელა ახალგაზრდა მექანიზატორმა ა. მეფორიამ. იგი ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. მოწინავე მექანიზატორი პირობას იძლევა სანიმუშოდ მოემზადოს ჩაის კრეფის ხეზონისათვის და „საქართველოთი“ მოკრიფოს 30 ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 1972 წლის მოკრეფილი 27 ტონისა.

სურათზე: აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მოწინავე მექანიზატორი ა. მეფორია.

ე. პოხრნელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რიტმი, ტემპი პირველი დღეებიდანვე

ბევრ საწარმოში ნელა გაღლდება წარმოების ტექნიკური დონე, სრულად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, მცირდება ფონდამობება, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

□ □

ბავიდა სიიუბილეო წელი. როგორ შეასრულეს ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა თავიანთი დანაპირები? მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა დაძლიეს ყველა სიძნელე და გაბედულად მიიწევენ ხუთწლედის ახალი მიჯნებისაკენ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა გასული წლის გეგმა ვადამდე ათი დღით ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა. ასევე წარმატებით იმუშავეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო და საავიაციო, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნების კოლექტივებმა, ჭიათურის მარგანტრესტის მაღაროელებმა და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა.

ყოველივე ეს კარგია, სიხარულსა და სიამაყეს გვმატებს, მაგრამ ცუდია ის, რომ რესპუბლიკის საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა, დაუშვეს გადახარჯვები და ამით სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენეს. კიდევ მეტი, ზოგიერთი საწარმოს ჩამორჩენა გრძელდება წლიდან წლამდე. მაგალითად, შარშან პირველი კვარტალის პროგრამა ვერ დაძლია 139 საწარმომ, ნახევარი წლისა — 122-მა, ხოლო ათი თვისა — 200-ზე მეტმა სამრეწველო საწარმოს კოლექტივმა. მათ რეალიზაციის გეგმას დააკლეს 61 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. თუ ამ ციფრს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს შევადარებთ, ნათლად დავინახავთ, რომ გასულ წელს მარტო ათ თვეში ორჯერ უფრო მეტი თანხის პროდუქცია დააკლდა რეალიზაციის გეგმას, ვიდრე მთელი 1971 წლის მანძილზე.

ამ საქმეში განსაკუთრებით სცოდავენ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, სამარცხვინოდ ჩამორჩებიან აგრეთვე ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების მთელი რიგი საწარმოები. პროდუქციის რეალიზაციის წლიურ გეგმას მათ მილიონობით მანეთის პროდუქცია დააკლეს, თავიანთი უხეირო მუშაობით უკან დასწიეს რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელი.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მიერ გამოშვებულ პროდუქციას დიდი ხვედრითი წონა აქვს რესპუბლიკის საერთო პროდუქციის მოცულობაში. ამიტომ, ცხადია, მათს გამართულ, რიტმულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მრეწველობის მიერ სახელმწიფო გეგმების დროულად შესრულების საქმე. მაგრამ, სამწუხაროდ, არც აქა გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. ჩამორჩნენ ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არიან რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომბინატი, ფოთის ელექტროაპარატურის, ცხინვალის ემალსადენის, თბილისის ელექტროიზოლიტის ქარხნები და სხვ.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის მრეწველობის მთელი რიგი დარგები და ცალკეული საწარმოები ჩამორჩებიან. გეგმების შესრულებასთან ერთად მიმდინარე ხუთწლედში ჩამოვარჩენით განვითარების ტემპებშიც. მაგალითად, ხუთწლედში მრეწველობის განვითარების ტემპი განსაზღვრულია 44 პროცენტით, რაც წლიურად 7,6 პროცენტ ზრდას გვაძლევს.

მაგრამ, გეგმასთან შედარებით მრეწველობის განვითარების ტემპი ძლიერ დაბალია. ამ საქმეში განსაკუთრებით სცოდავენ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები.

რამ გამოიწვია ტემპის ასეთი შენელება? როგორც რესპუბლიკის სამინისტროებისადმი, ისე საკავშირო სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულმა მთელმა რიგმა საწარმოებმა არა თუ გააიდიეს პროდუქციის გამოშვების მოცულობა, არამედ სხვადასხვა გზებით მიაღწიეს გეგმების შემცირებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი — რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული წარმოების ზრდის ტემპების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოების მიერ გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია იმით, რომ საწარმოებში ნელა ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, ჯერ კიდევ დიდია სამუშაო დროის დანაკარგები.

მუშახელის ნაკლებობას ყველგან, ყველა დარგში უჩივიან. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო ჩივილი არაა გვარგებს, დროა გადამჭრელი ზომები მივიღოთ იმისათვის, რომ შევძლოთ კადრების არა თუ შენარჩუნება, არამედ მათი მიზიდვა, აღზრდა, სპეციალიზაცია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ავამაღლოთ თვითეული მუშის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, და ამავე დროს შევუქმნათ მათ ნორმალური მუშაობის პირობები. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ერთეულების მაღალნაყოფიერი შრომით წინ ვერ წავალთ, ნოვატორთა შრომითი მაჩვენებლების დონეზე უნდა ავიყვანოთ ყველას შრომა.

მიმდინარე ხუთწლედში მწვავედ დგას პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხი. სხვანაირად არც შეიძლება. დღეს ჩვენი მომხმარებელი მკაცრი და მომთხოვნია. მართალია რესპუბლიკის არაერთმა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივმა გარკვეული წარმატებებს მიაღწია. რამდენიმე ნაწარმს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიეკუთვნა. მაგრამ წარმატების გვერდით წუნით გამოწვეული ზარალი ჯერ კიდევ დიდია. მარტო თბილისში უხარისხობის გამო ჩაწოლილია მილიონობით მანეთის სამკერვალო ნაწარმი და ფეხსაცმელი. ხშირია შემთხვევა, როცა ზოგიერთი საწარმო პროდუქციას უშვებს ყოველგვარი სტანდარტის დარღვევით. ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექცია იძულებულია უკან დაუბრუნოს პროდუქცია შესასწორებლად, ან აუკრძალოს სავაჭრო ორგანიზაციებს მისი მიღება საერეალიზაციოდ.

რატომ ხდება ყოველივე ეს? იმიტომ, რომ საწარმოებში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ტექნოლოგიური კონტროლი. აქ დასაქმებული არიან არასპეციალისტები.

მეცხრე ხუთწლედის მესამე წელი ძალაში შევიდა. ახლა მთავარია ღრმა ანალიზი გავუკეთოთ გასული წლის მუშაობის შედეგებს, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ პარტიის მიზანდასახულობანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მიმართვამ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში მზურვალე გამოხმაურება და ძალების ახალი მოზღვავება გამოიწვია. მოწინავე საწარმოთა კოლექტივები ხუთწლედის მესამე წლის გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ 1973 წელი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გადამწყვეტი წელი უნდა გახდეს.

მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა, რომელიც განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ, შემუშავებულია იმ ვარაუდით, რომ უფრო სრულად, ეფექტიანად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები, რათა უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი აღმავლობა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

1973 წელს საერთო პროდუქციის მოცულობა 1970 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 11,9 პროცენტით. დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმა რომ უზრუნველვყოთ, აუცილებლად საჭირო იქნება შემდგომ ორ წელიწადში კიდევ უფრო მკვეთრად გავზარდოთ წარმოების ტემპები.

ახლა საჭიროა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა **გულდასმით განიხილონ წლიური გეგმები, ზუსტად გაანაწილონ თვეებისა და კვარტალების მიხედვით, შექმნან ყველა პირობა იმისათვის, რომ ყოველდღიურ გეგმას ახრულებდეს საამქრო, ბრიგადა, შრომითი კოლექტივის ყოველი წევრი, სახტიკად ვებრძოლოთ ერიშობანას.**

წარმატებებით რომ განვახორციელოთ მიმდინარე წლის გეგმები, საჭიროა თვითეული კოლექტივის დიდი და დაძაბული, ჭეშმარიტად ნოვატორული მუშაობა. ამ პირობებში პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ულმობელი ბრძოლა გამოიცხადონ უპასუხისმგებლობასა და თვითდამშვიდებას, ინერტულობასა და კონსერვატიზმს, საქმისადმი უდარდელ დამოკიდებულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მწვავედ და სამართლიანად გააკრიტიკეს რესპუბლიკის დარგობრივი სამინისტროების ხელმძღვანელები დაშვებული ნაკლოვანებებისათვის. განსაკუთრებით შეუწყნარებელია ზოზინი წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვაში, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმების უქონლობა, საწარმოებში სიმძლავრეთა არასრული გამოყენება.

ახლა საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების საზრუნავი ის არის, რომ სათავეში ჩაუდგნენ რეზერვების მახობრივ ძიებას, აღანთონ მახები შემოქმედების მგზნებარებით, აღუზარდონ ადამიანებს სახელმწიფოებრივი მიდგომა საქმისადმი, პერსპექტივის გრძნობა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ ჩამორჩენა.

ახლა მთავარია თავიდანვე ენერგიულად, რიტმულად, მაღალნაყოფიერად ვიშრომოთ იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ყველა დავალებანი.

შრომით ვაღიდოთ საქმეობლო

ხუთწლედს — დამკვრელური შრომა

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, ხაშურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივებმა გაღიდებული ვალდებულებანი იკისრეს ხუთწლედის მესამე წლისთვის

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშაკებმა, რომლებიც ალაფრთოვანა მადალმა ჯილდომ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საუბილეო სპპატენი ნიშანმა, გადაწყვიტეს ხუთწლედის მესამე წელს იმუშაონ კიდევ უფრო საყოფიერად. ასეთი ჯილდოს პასუხად 1973 წლიხათვის იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

რეალიზებული პროდუქციის მოცულობის წლიური გეგმა უნდა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებას კი გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 1,2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულებენ. პროდუქციის მთელ მატებას უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. მოგების გეგმა გადაწყდა შეასრულონ 100 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების საშუალებებით ქარხანაში აპირებენ დაზოგონ 100 ტონა ლითონი, 600 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 125 ტონა პრობითი სპობრი.

წელს კოლექტივი აითვისებს თანამედროვე კონსტრუქციის 12 ახალი დიდმწარმოებლური ჩარხის გამოშვებას. სახალხო მოხმარების საქონელს გამოუშვებენ ერთ-ნახევარჯერ მეტს, ვიდრე გასულ წელს. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელების გზით აპირებენ წელიწადში დაზოგონ 300 ათასი მანეთი. ინსტრუმენტების აღრიცხვის გაუმჯობესების, მათი რემონტის ორგანიზაციისა და ხელახლა გამოყენების გზით მიიღებენ 16 ათას მანეთ ეკონომიას.

ეკონომიას გადაჭარბებით გამოუშვებენ 10 ჩარხს. მოიშუშავეთა შრომის შემსუბუქებისათვის, წარმოებისა და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის გადაწყდა ააშენონ 10 საელექტრო საწყობი. საკუსპლოატაციოდ გადასცენ ჩარხების დეტალების წინასწარი შედეგების კონვეიერი, მოახდინონ № 1 მექანიკური საამქროს კომპლექსური მექანიზაცია კორპუსის დეტალების მრავალპოზიციულ დამუშავების საავტომატო ჩარხების დანერგვის გზით. დასრულია ითვისონ ბლანტმასის 30 დასახელების დეტალის გამოშვება.

განაგრძობენ შეფობას გორის რაიონის სოფელ ტკვიავის ლ. კიკნაძელის სახელობის კოლმეურნეობისადმი, მას გაუწევენ ტექნიკურ დახმარებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, რემონტისა და სათადარიგო ნაწილების დამზადების ორგანიზაციაში.

ვალდებულებებში აგრეთვე ჯათვალისწინებულია ქარხნის მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები.

თბილისელმა ჩარხმშენებლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაიკავეს ერკვნის ფ. ძერკინსკის სახელობის ქარხნის, კრასნოდარის სელინის სახელობის ქარხნისა და ალტაის სამოტორო ქარხნის ინსტრუმენტულ-საწარმოო კორპუსის კოლექტივები.

ხაშურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა გასული წელი დაამთავრა მაღალი საწარმო მაჩვენებლებით. წარმატებით შეასრულა ტვირთზიდის დაგალებანი, მეაცრი, რეკომის დაცვის გზით დაზოგა ბევრი საწვავი და საპონი მასალა. შრომაში მაღალი მაჩვენებლებისათვის საწარმოს კოლექტივს მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საუბილეო სპპატეო ნიშანი.

ხაშურელი ავტომობილისტები აპირებენ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს არ შეჭარხლონ ალებული ტემპი და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

აქ გადაწყვეტილია შრომის ნაყოფიერების გადიდებით მიაღწიონ წარმოების ისეთ ეფექტიანობას, რომ 25 დეკემბრისათვის შეასრულონ ტონაჟისა და ტონა-კილომეტრის მიხედვით ტვირთზიდვის გეგმა. გეგმასთან შედარებით ერთი პროცენტით შემცირდება ტვირთზიდვის თვითღირებულება, შრომის ნაყოფიერება კი გაიზრდება 6 პროცენტით. დასასრულია დაიზოგოს 4 ბორცენტი საწვავ-საპოხი მასალა და ერთი პროცენტი ელექტროენერგია.

ავტომანქანების გარბენის გამოყენების კოეფიციენტი მიაღწევს 0,58 პროცენტს შარშანდელ 0,57 პროცენტთან შედარებით. მოგების გეგმა გათვალისწინებულია შესრულდეს გეგმაზე 3 პროცენტის გადაჭარბებით. წარმოებაში დაინერგება სულ ცოტა 18 რაციონალიზატორული წინადადება. კვალიფიკაციას აამაღლებენ 25 მძღოლი და 10 შემკეთებელი.

ავტომობილისტთა ვალდებულებებს შორის არის კიდევ მთელი რიგი ვალდებულებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, შრომის ტემპის დაჩქარებას. (საქინფორმი).

აღნაგლობით შრომობდა საუბილეო წელს თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივი. მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 101,1 პროცენტით გაანაღდა, გეგმის გადამეტებით 187 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 21,6 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზრდილია 1,9 პროცენტით. მკვეთრად გაუმჯობესებულ პროდუქციის ხარისხი. საწარმოში დანერგეს 32 ახალი თანამედროვე მოდელი. ოთხი სახის პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო. მასალებისა და ნედლეულის მოჭრირნეობით ხარჯვის შედეგად დაზოგილია 6 ტონა ძვირფასი ნედლეული. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 0,8 პროცენტით.

საწარმოს კოლექტივმა გულდასმით გადახედა გასული წლის შედეგებს, მიმდინარე წლის გეგმას, გათვალისწინა ყველა შესაძლებლობანი და გადაწყვიტა:

წლიური გეგმა შეასრულოს 28 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 15 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, დავალების ჯამამეტებით მოახდინოს 100 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია;

გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 2 პროცენტით აამაღლოს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 0,5 პროცენტით შემაციროს, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გაზარდოს 0.3 პროცენტით;

გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებით, ნედლეულის მოჭრირნეობით ხარჯვით დაზოგოს 3 ტონა ნედლეული;

გეგმასთან შედარებით ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება გაადიდოს 10 პროცენტით, წარმოებაში დანერგოს 35 ახალი მოდელი;

მკვეთრად გაუმჯობესოს მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, ამაღლოს წარმოების კულტურა.

ახალი ხიდი დნეპრზე

დაიწყო მიმოსვლა დნეპრის ახალ ხიდზე, რომელიც აიგო სოფელ სოლოვიევოსთან სმოლენსკის ქვეყ გზაზე. მისი სიგრძე 200 მეტრს აღემატება, ხოლო მისასვლელები მასთან მდინარის ჭალის გავლით — თითქმის შვიდი კილომეტრია. სახელმწიფო კომისიამ კარგი შეფასებით მიიღო ნაგებობა საექსპლოატაციოდ.

ამრიგად, აღარ არის სოლოვიევოს ფონი, რომელიც ათეული წლების მანძილზე არსებობდა. იგი ისტორიაში შევიდა როგორც ძმიმე ბრძოლების ადგილი დიდი სამამულო ომის პერიოდში. ამას მოგვაგონებს ძეგლი — გრანიტი რეაქტიული ნაღმსატყორცნით დნეპრის ნაპირას. აქ 1941 წლის ივლისში სამი საბჭოთა არმიისა და პირველი რეაქტიული ნაღმსატყორცნების ბატარეის მეომრები ეწეოდნენ სისხლისმღვრელ ბრძოლებს ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ, რომლებიც მოსკოვისაკენ მიიწევდნენ.

ახლა ისტორიული სმოლენსკის გზა ძირითადი ტრასაა, რომელიც სოლქო ცენტრს აკავშირებს სმოლენსკის ოლქის რაიონებთან.

სმოლენსკი.

ნაპირნენ პირველი ელექტრომატარებლები

ოდესა, (საკუთარი კორ.). ოდესის მთავარი რკინიგზის სადგურიდან გავდნენ პირველი ელექტრომატარებლები: დამთავრდა 382-კილომეტრიანი უბნის ელექტრიფიკაცია, რომელმაც უმოკლესი გზით დააკავშირა შავი ზღვის უდიდესი ნავსადგურები ლონბასისა და იმიერკარპატის სამრეწველო რაიონებთან.

ახლანდელ ხუთწლედში ოდესის „ტრანსმაშენის“ ტრესტის მშენებლები მოახდენენ 525 კილომეტრი საერთო სიგრძის რკინიგზის ხაზების ელექტრიფიკაციას.

პირველი უკრაინაში

ბელგოროდ-დნესტროვსკში ამუშავდა უკრაინაში პირველი უჯრედოვანი ბეტონისა და მისი ნაკეთობების ფეხსაბრამტული ქარხანა. ქარხანაში გამომშვებული ბლოკები და პანელები კარგი მასალა სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო მშენებლობისათვის. ამასთანავე ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა დაზოგონ ცემენტი.

წელს ქარხანა მშენებლებს მისცემს 55 ათას კუბურ მეტრ ბლოკებსა და პანელებს. საწარმოს სრული სიმძლავრეა 100 ათასი კუბური მეტრი უჯრედოვანი ბეტონი წელიწადში.

ტექნიკის სიახლენი

ამწე ენერგეტიკოსებისათვის

ივანოვოს მექანიკურმა ქარხანამ „მთავარენერგომშენმექანიზაციამ დაამზადა „კსტ-5ა“ საავტომობილო ამწეების პირველი სამრეწველო პარტია, რომლებიც გათვალისწინებულია ელექტრონული ჭესლების ღია განმანაწილებელი მოწყობილობის მოსამსახურებისათვის.

სიახლემ წარმატებით გაიარა გამოცდა კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურში და ენერგეტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამწე აღჭურვილია ჰიდრავლიკური მექანიზმით, რომელიც საშუალებას იძლევა 17 მეტრზე გასწიონ ანძა და ისარი. ტვირთამწეობა ხუთ ტონას შეადგენს. ამონტაჟებენ აგრეგატს მძლავრი სატვირთო ავტომობილის შასიზე. სატრანსპორტო მდგომარეობაში კი მისი ისარი არ აღემატება ავტომობილის გაბარიტებს.

ივანოვო.

მეგობროობის, ძმობის შესახებ

მოსკოველთა და დედაქალაქის სტუმართა დიდ ინტერესს იწვევს სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა „სსრ კავშირი — ჩვენი საშობლო“. ყველა მოძმე რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატებმა გამოფენაზე წარმოადგინეს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები. მათი ნამუშევანი თემაა აღმშენებლობითი შრომა, ხალხთა მეგობრობა და ძმობა.

მარტო ორი კვირის მანძილზე დედაქალაქის ცენტრალურ ნაგამოფენო დარბაზს, სადაც მოწყობილია ექსპოზიცია, 30 ათასზე მეტი კაცი ეწვია.

ეი რამდენიმე ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნიდან; „სსრ კავშირი — ჩვენი საშობლო“ — ეს არის ეროვნული ხელოვნების ნამდვილი პარმონია“. — წერს ოდესელი მუშა ა. გავრილოვი. დონბასელი მეშახტეები აღნიშნავენ: „საიუბილეო გამოფენა უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. აქ წარმოდგენილი ნაწარმოებები საინტერესოდ მოგვითხრობენ მშობლიურ ბუნებაზე, ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და შრომაზე, მოკავშირე რესპუბლიკების დიდ ურღვევ მეგობრობაზე“.

ახალი ცხოვრების დამკვიდრება და განდიდება — ასეთია სსრ კავშირის შექმნის 50 წლიხთავიადმი მიძღვნილი გამოფენის დევიზი. (საკუთარი კორ.).

ჟ. პომპიდუს გაცხადება

პარიზი, 4 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ სიტყვა წარმოთქვა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის გამართულ დარბაზობაზე ელისეს სასახლეში.

დაახასიათა რა თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, პრეზიდენტმა გამოთქვა აზრი, რომ 1972 წელი „დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება ომისშემდგომ ისტორიაში". ამასთან მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების მნიშვნელობას, რომლის ხელმოწერა, როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, აკიერგიებს იმას, რაც დაიწყო სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებამ.

პომპიდუმ აგრეთვე აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალმხრივი კონსულტაციების დაწყებას უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადების შესახებ. „რეალური მდგომარეობა, რომელიც ომის შემდეგ შეიქმნა, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — თანდათან მტკიცდება და ამავე დროს დაძაბულობა კლებულობს, დაძაბულობის შენელება ღრმავდება".

შეეხო რა საერთო ვითარებას დედამიწაზე, ჟ. პომპიდუმ განაცხადა, რომ 27 წლის განმავლობაში, რაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გავიდა, „საყოველთაო კონფლიქტი არასოდეს ასე შორს არ ყოფილა ჩვენგან.

ამავე დროს პრეზიდენტმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ დაუდვიათ შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ, და დაგმო „უეცარი და უხეში გამოყენება იარაღისა", მხედველობაში ჰქონდა რა, როგორც ჩანს, ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის მასირებული დაბომბვა.

„მთელი მსოფლიო, და კერძოდ საფრანგეთი, — თქვა მან, — რამდენიმე კვირის განმავლობაში ფიქრობდა, რომ ვიეტნამის განაწყობებ მიწა-წყალზე ბოლოს და ბოლოს შეწყდება ტანჯვა. პოლიტიკამ, ამ სიტყვის ყველაზე კეთილშობილური მნიშვნელობით, თითქოს აჯობა ომსა და მის თანამგზავრ უბედურებებს. მაგრამ ჩვენ ალბეგშნავთ, რომ ეს არ მომხდარა, და დიდად ვწუხვართ ამის გამო სწორედ ისევე, როგორც ვწუხვართ იარაღის უეცრად და უხეშად გამოყენების გამო".

პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ ვიეტნამში რაც შეიძლება მალე აღდგეს მშვიდობა, და თქვა „მე სულით და გულით მსურს იმედი ვიქონიო, რომ განმეორებით არ გაგვიცრუებენ იმედებს".

პარიზი. 4 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ ელისეს სასახლეში შეხვდა ფრანგ და უცხოელ ჟურნალისტებს.

საუბრის დროს პრეზიდენტი, კერძოდ, შეეხო თავის მომავალ ვიზიტს საბჭოთა კავშირში, სადაც უნდა შეხვდეს და ესაუბროს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

„ამ შეხვედრის მიზანია, — თქვა მან, — გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი ევროპისა ზოგად საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე განვიხილოთ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ორმხრივი ურთიერთობა". როცა ადამიანები კეთილი სურვილებით ხვდებიან ერთმანეთს, განაცხადა, პრეზიდენტმა, ეს ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებასა და თანამშრომლობის განვითარებას. სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან ჩვენი მომავალი საუბრები, თქვა პომპიდუმ, თავისი მნიშვნელობით, უდავოდ გამოიწვევს ევროპის ყველა სახელმწიფოს ინტერესს.

ვიეტნამი—კონგრესის დღის წესრიგში

გაშინგტონი. 4 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ნ. პაპოშვილი იუწყება: 93-ე მოწვევის კონგრესის სესიაზე მუშაობა დაიწყო ისეთ ვითარებაში, როცა მთელ სახელმწიფოში ძლიერდება უკმაყოფილება ინდოჩინეთში ამერიკის შეიარაღებული შტატების აგრესიის განგრძობის გამო.

სესიის მუშაობის დასაწყისი აღინიშნა დემონსტრაციით, რომელიც კონგრესის შენობასთან გამართეს ორგანიზაციამ „ქალები, ბრძოლეთ მშვიდობისათვის" და სხვა ომის მოწინააღმდეგე ჯგუფებმა. დემონსტრაციის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ამასწინანდელი ბარბაროსული დაბომბვა.

სენატის დემოკრატიული ფრაქციის სხდომაზე გამოვიდა დემოკრატთა ლიდერი მ. მენსფილდი, რომელმაც განაცხადა, რომ კონგრესს „არა აქვს სხვა არჩევანი", თუ არა ის, რომ მოითხოვოს ომში ამერიკის მონაწილეობის დაყოვნებლივ და მთლიანად შეწყვეტა. რამდენადაც მთავრობამ „ვერ შეძლო მშვიდობის მიღწევა მოლაპარაკების გზით". მან მოიწოდა დემოკრატ სენატორებს „იღონონ ყოველგვარი საკანონმდებლო ღონისძიება, რომელიც ბოლოს მოუღებდა ომს.

შეერთებული შტატების აგრესიას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მენსფილდმა უწოდა „უაზრო ომი". მან ხაზი გაუსვა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელ დაბომბვებს მოჰყვა „მხოლოდ ახალი ნგრევა და შეერთებული შტატების რეპუტაციის კიდევ უფრო დაკნინა".

დემოკრატმა სენატორებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თავიანთი ლიდერის მოწოდებას და მიიღეს პოლიტიკური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის „არ არსებობს უფრო მეტი ეროვნული საჭიროება, ვიდრე ვიეტნამის ომში მონაწილეობის შეწყვეტა". სენატის სხდომაზე ე. კენედიმ შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც მოითხოვს შეწყდეს ინდოჩინეთში ამერიკის სამხედრო ოპერაციების დაფინანსება.

თეთრი სახლის აგრესიის გაჯიანურების ტალღას კმენენ თავიანთ გამოსვლებში კონგრესის სულ ახალგაზრა წევრები. მათ შორის ცნობილი „ჭორიანელი" კი და მმართველი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები. სენატორმა ლ. ფეიერმა, რომელიც თავის გამოსვლებში მუდამ ეჭირდა მხარს მთავრობის მოქმედებას ინდოჩინეთში, განაცხადა, რომ ემიჯნება „დაბომბვის პოლიტიკას". რესპუბლიკელ სენატორთა ფრაქციამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მთავრობას „რაც შეიძლება მალე მოუღოს ბოლო მოლაპარაკების გზით ტრადიციულ კონფლიქტს ინდოჩინეთში". ისეთმა კონსერვატიულმა სენატორმაც კი როგორც ბ. ჯექსონია, გააკრიტიკა მთავრობა იმისათვის, რომ დაფინანსებით უმალავს საზოგადოებრიობას და კონგრესს ინფორმაციას, რომელიც დაბომბვას შეეხება.

კონგრესში თეთრი სახლის საკითხებთან პოლიტიკის კრიტიკის გაძლიერების გამო მთავრობა ხმარობს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია არ დაუშვან კანონმდებლობის მიერ ომის საწინააღმდეგო რეზოლუციის მიღება. როგორც პრესა იუწყება, თეთრმა სახლმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გახსორციელა, რათა წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიულ ფრაქციას არ დაეგმო მთავრობის საკიტხებთან პოლიტიკა. თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა რ. ზიგლერმა გუშინ გააკეთა განცხადება იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოახდინა კანონმდებლებზე. მაგალითად, იგი ამტკიცებდა, თითქოს ინდოჩინეთში ომის დაფინანსების შეწყვეტის შესახებ რეზოლუციის მიღებამ შეიძლება „ადამიანუროს" მოლაპარაკების გზით მოწესრიგების მიღწევა.

ზეგავლენას ახდენენ მალტაზე

ბრიუსელი. 4 იანვარი. (საკდესი). ინგლისის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოს საბჭოში ედვარდ პეკმა ნატოს წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენელთა სხდომის განსახილველად შეიტანა საკითხი იმის შესახებ, რომ მალტის მთავრობა მოითხოვს გაუზარდონ ქირა სამხედრო ბაზებისათვის, რომლებიც იჯარით აქვს აღებული ინგლისს ამ კუნძულზე.

ამ საკითხის დასმა ნატოში კიდევ ერთი ცდაა შეგავლენა მოახდინონ მალტაზე და უარი ათქმევინონ მას იმ სამართლიან მოთხოვნაზე, რომ 10 პროცენტით გაუზარდონ საიჯარო ქირა ბაზებისათვის ინგლისური გირვანქა სტერლინგის გაუფასურების გამო.

პრესის ცნობებით თუ ვემსჯელებთ ნატოელი მოკავშირეები, რომლებიც ინგლისს უნაზღაურებენ მალტისათვის გადასახდელების მნიშვნელოვან ნაწილს, ჯერჯერობით ვერ შეთანხმებულან ამ საკითხზე და მისი განხილვა ნატოს საბჭოში მუდმივ წარმომადგენელთა დონეზე გაგრძელდება.

ლონდონი, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც მთავრობის წრეებში იუწყებიან, ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ჯერჯერობით „გაურკვევლად" დატოვოს მალტაში განლაგებული თავისი ჯარების სტატუსი.

მალტის პრემიერ-მინისტრმა მინტოფმა წინათ განაცხადა: იმის გამო, რომ ინგლისმა უარი თქვა დაკმაყოფილოს მალტის მოთხოვნები საიჯარო ქირის მოშატების შესახებ, ინგლისის ჯარები კარგავენ უფლებებს, რომლებითაც სარგებლობდნენ გასული წლის მარტში დადებული შეთანხმებით სამხედრო ბაზების თაობაზე.

ფაქტები

● **ვენესუელის დემოკრატიული რესპუბლიკის** და თურქეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაიწყონ მოლაპარაკება საელჩოთა დონეზე დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

● **100 ათასზე მეტმა** შვედმა მოაწერა უკვე ხელი მოთხოვნას, რომ ამერიკამ შეწყვიტოს აგრესია ინდოჩინეთში და დაუყოვნებლივ დადოს ზავი ვიეტნამში. ხელმოწერის შეგროვების კამპანია მთელ შვეციაში გრძელდება.

● **იუგოსლავიის უდიდესმა** მეტალურგიულმა კომბინატმა „ზენიცამ" თავის ისტორიაში პირველად აწარმოვა წლის მანძილზე მილიონი ტონა ფოლადი. დაგეგმილია, რომ ხუთწლედის მიმდინარე მესამე წელს კომბინატმა ქვეყანას უნდა მისცეს 1,3 მილიონი ტონა ფოლადი.

● **ორი ლანკის** რესპუბლიკის ეროვნულმა სახელმწიფო ასამბლეამ მიიღო კერძო სახლმფლობელობის შეზღუდვის კანონპროექტი. კანონპროექტი ეს დებულების თანახმად სახლთმფლობელთა საკუთრება, რომელიც დაწესებულ სიდიდეს აღემატება, გადაეცემა სახელმწიფოს და გამოიყენება მოსახლეობის ღარიბი ფენების სანაცვლო პირობების გაუმჯობესებისათვის.

● **მწვანე რასობრივმა** კონფლიქტმა იფეთქა ქალაქ პენსაკოლის (აშშ, ფლორიდის შტატი) სკოლებში. რამდენიმე ასეულმა ზანგმა მოსწავლემ უარი თქვა სკოლაში წასვლაზე განათლების ადგილობრივ სისტემაში რასიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

● **თურქეთის 36 მილიონი** მოსახლეობიდან 13 მილიონი უწიგნურია. უწიგნურთა რიცხვი ქალთა შორის თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცთა შორის.

● **ავიაკომპანია** „პასიფიკ უესტერნ ეირლაინსის" სატრანსპორტო რეაქტიული თვითმფრინავი „ბოინგ-707" ჩამოვარდა ალბერტის პროვინციის ქალაქ ედმონტონის (კანადა) საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად. თვითმფრინავში მყოფი ექვსი კაცი დაიღუპა.

ნაიანშტაინის ციხე-სამაგრიდან (ერთნგენის ოლქი, გფრ) უცნობმა პირებმა მოიპარეს ძველებური იარაღის კოლექციაში შემავალი 40 საგანი. პრესა აღნიშნავს, რომ ამ სამუზეუმო ფასეულობათა დირებულება 700.000 მარკას აღემატება.

● **ახალ წელს ღამით** ქურდებმა მილანში გაქურდეს ცნობილი იტალიელი დირიჟორის არტურო ტოსკანინის ქალიშვილის სახლი. მათ მოიპარეს ძვირფასი სურათები, ხელოვნების ნაწარმოებნი და სხვა ნივთები, რომლებიც გამოჩენილ მუსიკოსს ეკუთვნოდა.

● **ძლიერი ხანძარი** მოხდა ელექტროტექნიკური კონცერნის „იეგის" საწყობში დარმშტადტის მახლობლად (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ხანძრით მიყენებული ზარალი 30 მილიონ მარკას უდრის.

ფაქტები

პენტაგონი აღიარებს

ვაშინგტონი, 4 იანვარი. (საკდესი). პენტაგონმა აღიარა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის უკანასკნელი თავისი მასშტაბით უპრეცედენტო დაბომბვის დროს ბომბები მოხვდა სამოქალაქო ობიექტებს, მათ შორის პანოის უდიდეს საავადმყოფო ბატმაისა და აეროპორტს.

გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, პენტაგონის წარმომადგენელმა ფრიდჰეიმმა განაცხადა, რომ, „როგორც ჩანს, გამოწვეული იყო ნგრევა აეროპორტსა და საავადმყოფოში", ფრიდჰეიმმა აღრეთვე აღიარა, რომ დაბომბვის შედეგად „შეიძლება ყოფილიყო მსხვერპლი" სამოქალაქო მოსახლეობაში, კერძოდ, საავადმყოფოს პერსონალს შორის.

ახალი მსხვერპლი ოლსტერში

ლონდონი, 4 იანვარი. (საკდესი). იერსტრემისტის ტყვიამ იმსხვერპლა 31 წლის კათოლიკე მუშა, ორი შვილის მამა ჯიმ მუნი, როცა შეიჭრიდა ბელფასტის ჯარეულბანში კომპანია „როლს-როისის" ქარხნის ტერიტორიაზე. მისი ორი ამხანაგი მძიმედ დაიჭრა. მოფაშისტე ორგანიზაციების წევრი იმ ოლტრამემარჯვენე ორამბოდეს მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელებსაც დაშინებული ჰყავთ პროვინცია, ქარხნის მუშათა უმრავლესობა გუშინ არ გამოსულა სამუშაოზე.

პროვინციაში, წერს „ტაიმსი", იზრდება უკმაყოფილება ოფიციალური ლონდონის პოლიტიკის გამო, რომელიც ვერაფრით ვერ ულებს ბოლოს ტერორიზმს ოლსტერში. ამასთან მთელი რიგი ადგილობრივი მომუშავეებელები უფრო აშკარად აცხადებენ, რომ რეპრესიები, რომლებიც თავს დაატეხეს კათოლიკურ პროტესტანტებს ეკლესიებს, ეკლესიებ



საბჭოთა კავშირი პოლონური გემთმშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი დამკვეთია. უახლოეს ოთხ წელიწადში პოლონეთის გემთმშენი მრეწველობა საბჭოთა კავშირისათვის აგებს 109 გემს. სამი ახალი გემი გადასცა ბალტიკის ჯ. ი. ლენინის სახელობის გემთმშენები გასული წლის ბოლოს ჩაუშვეს წყალში. სულ გადასცეს გემთმშენი 1974 წლამდე 23 თევზსაჭერი გემს აგებს საბჭოთა კავშირისათვის.

სურათზე: საბჭოთა კავშირისათვის აგებული მცურავი ბაზა „პოგრანიჩნიკ ლეონოვი" და თევზსაჭერი ტრაულერები გდანსკის ვ. ი. ლენინის სახელობის გემთმშენებლებში.

ცაფ-ახალი ამბების საგენტოს ფოტო.

სტიქია გოგოქროგს

რომი, იტალიის სამხრეთ ოლქებში სამ დღეს მძვინვარებდა კოკისპირული წვიმები, თოვა და გრიგალი. სიცილიასა და კალაბრიაში ადიდდა ბევრი მდინარე და დაანგრია ხიდები, საცხოვრებელი სახლები, დაზიანა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ხაზები. ბევრგან შეწყდა სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა. წყალდიდობის შედეგად კალაბრიის ქალაქი კატანზარო მოწყვეტილია გარე სამყაროს.

ასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 15 კაცი.

ალჟირი. მესამე დღეა ალჟირში გრძელდება კოკისპირული წვიმა, რომელსაც ახლავს ძლიერი ქარი.

წვიმამ მნიშვნელოვნად დააზარალა ალჟირისა და კონსტანტინის პროვინციები, სადაც მწყობრიდან გამოვიდა ძირითადი გზატკეცილები, დაიგბორა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. შეწყდა მოძრაობა ალჟირ-კონსტანტინის მთავარ გზაზე. წყალდიდობამ დიდად დაზარალა ნათესები.

დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის დახმარების გაწევაში მონაწილეობენ ჯარის ნაწილები.

ბელი, მეტისშეტად ცივი ამინდია ინდოეთის ჩრდილოეთ შტატებში. ჯამუსა და კაშმირის ბევრი რაიონი თოვლის სქელი ფენით დაიფარა. ქვეყნის უდიდეს უტარპრადეშის შტატში უკანასკნელი კვირის მანძილზე 67 კაცი იმსხვერპლა სიცივემ. ბიჰარის შტატში კი აღრიცხულია სიკვდილის 16 შემთხვევა.

ადგილობრივი სინოპტიკოსები უსხლოს რამდენიმე დღეში მოელიან ტემპერატურის კიდევ უფრო დაწევას ჩრდილოეთ ინდოეთში.

ჰანოი. ცენტრალური იავის რამდენიმე რაიონს თავს დაატყდა საოცარი ძალის გრიგალი და კოკისპირული წვიმა. გრიგალმა პირისაგან მიწისა აღგავა 70 საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა, სერიოზულად დაზიანა 400-ზე მეტი სახლი. (საკდესი).

ეკონომიური განათლება—ყველას!

აი რა ნაკლოვანებანი გვაქვს

მეორმეოცე მასობრივი ეკონომიური განათლების განსახორციელებლად მოსამზადებელი სამუშაოებისათვის სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ერთ წელზე მეტი დრო მიეცათ. ახლა აღვილი შესამჩნევია ვინ როგორ მოემზადა პარტიული, კომკავშირული და მასობრივი ეკონომიური განათლების სისტემაში 1972-1973 სასწავლო წლისათვის, რა მუშაობა ჩატარდა სწავლების სისტემებისა და ფორმების დაკომპლექტების, პერსპექტიული გეგმის შედგენის, ეკონომიური განათლების ხელმძღვანელთა მომზადების, სასწავლო გეგმებით უზრუნველყოფისა და სასწავლო-მატერიალური ბაზით განმტკიცებისათვის.

ბევრგან დამაკმაყოფილებლად მოემზადნენ 1972-1973 სასწავლო წლისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია პარტიის აჭარის საოლქო, თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის საქალაქო, ჩხოროწყუს, სამტრედიის, ვანის, წითელწყაროს, თელავის, რაიონული პარტიული კომიტეტების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კვების მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების მუშაობა. მაგრამ რესპუბლიკაში მასობრივი ეკონომიური განათლების პირველ ნაბიჯებს თან ახლავს ბევრი მნიშვნელოვანი ნაკლი. ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები და მის შედეგად არსებული ხარვეზები ეკონომიკური პრინციპულობით უნდა ვამჩნიოთ.

რა მდგომარეობა გვაქვს სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და ლიტერატურით მსმენელთა უზრუნველყოფის საქმეში? ჯერ კიდევ 1972 წლის იანვარში, „ეკონომიჩესკაია გაზეტამ" გამოაქვეყნა ტიპური სასწავლო გეგმები პროგრამები. იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო გეგმები ბევრი ისეთი საკითხის შესწავლას მოითხოვდა, რომელიც ნაკლებად იყო ცნობილი ეკონომისტებ-პროპაგანდისტთა და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, გაზეთის redაქცია მკითხველებს სთხოვდა გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი სასწავლო გეგმების გარშემო. ამ მეტად მნიშვნელოვანმა თხოვნამ რესპუბლიკაში ფართო გამოხმაურება ვერ ჰპოვა. ბევრმა სამინისტრომ და უწყებამ ვერ შეძლო თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო გეგმები და პროგრამები ტიპიურ სასწავლო გეგმებთან და პროგრამებთან შეხამებისაბამისობაში მოეყვანა (კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და სხვა სამინისტროები). ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ ქვემდებარე საწარმოებს ხელოვნურად შემეორებული სასწავლო გეგმები და პროგრამები დაუგზავნა, ასეთი არასრულყოფილი პროგრამები მიიღო აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ზოგიერთმა სხვა ცენტრალურმა უწყებამ.

სიძნელეები არსებობს სასწავლო ლიტერატურითი მსმენელთა უზრუნველყოფის საქმეშიც. მართალია, ამჟამად ეკონომიური განათლების სისტემებისათვის რუსულ ენაზე გამოქვეყნდა სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი, მაგრამ ქართულ ენაზე მის თარგმნასა და გამოცემას დიდი დრო დასჭირდება. აღნიშნულ სიძნელეებს ითვალისწინებდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო. ამიტომ სასწავლო ლიტერატურითი ეკონომიური განათლების უზრუნველყოფისათვის, გაზეთების „ეკონომისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოფლის ცხოვრების", „აბალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", ჟურნალების „საქართველოს კომუნისტის", „საქართველოს აგიტატორის", „საქართველოს სახალხო მეურნეობის", „საქართველოს აგიტატორისა" და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" redაქციებმა დროულად დაიწყეს მასალების გამოქვეყნება.

მშრომელთა მასობრივი ეკონომიური განათლების ცალკეულ ორგანიზაციულ და მეთოდურ საკითხებზე საინტერესო მასალები გამოაქვეყნეს აგრეთვე გაზეთებმა „საბჭოთა აჭარამ", „საბჭოთა აფხაზეთმა", „სოვეტსკაია აბხაზიამ". ნაყოფიერი მუშაობა გასწია გუდაუთის რაიონული გაზეთის „ბზიფის" redაქციამ. აქ გამოაქვეყნეს მეცნიერების კრებული, მეთოდური მითითებანი, სასწავლო პროგრამების ნაწილი და სხვ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ზოგიერთმა გაზეთმა და ჟურნალმა ჯერჯერობით ყურადღება არ დაუთმო ეკონომიური განათლების სისტემისათვის ტიპიური სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად მასალების სრულყოფილად გამოქვეყნების საქმეს. ეს მდგომარეობა, უნდა მოგვლოდეთ, მალე გამოსწორდება.

როგორც ცნობილია, სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია ეკონომიური განათლების ყველა ფორმისათვის პროპაგანდისტთა. ლექტორთა და მასწავლებელთა შერჩევა, მოამზადება და გადამზადება. ამ მიმართულებით რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს საყოფაცხოვრებო მომსახურების, კვების მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა. ამ საქმეში სასარგებლო მუშაობა გასწია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის რესპუბლიკურმა სახლმაც.

მიუხედავად ამისა, ჩატარებული მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. ეკონომიური განათლების სისტემის იმ საგნებისათვის, სადაც შეისწავლიან „მართვის მეცნიერებასა და პრაქტიკას", „სოციალისტური წარმოების მეცნიერული მართვის საფუძვლებს", „წარმოების ეკონომიკისა და მართვის საფუძვლებს", „სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერული მართვის საფუძვლებს", რესპუბლიკაში 2.400 ეკონომისტ-პროპაგანდისტის ნაცვლად მხოლოდ 650-მდე კაცი მოეზადება. არადამაკმაყოფილებელი იყო ეკონომიური განათლების სელმძღვანელი მუშაკების მომზადება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშიც. უფრო მეტიც, ზოგიერთი სამინისტრო ახლაც არ იღებს გადამჭრელ ზომებს ეკონომისტ-პროპაგანდისტთა მომზადებისათვის. საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემაში მეცადინეობებზე დასწრებამ. ზოგჯერ უმადლესი განათლების მქონე საფუძვლიანად ვერ განმარტავს მიმდინარე ხუთწლედის მთავარ ამოცანებს, ქვეყნის ეკონომიური განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებებს, სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას, ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და სხვ.

მასობრივი ეკონომიური განათლების დაწყებიდან სამი თვე სრულდება. ამ ხნის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესაბამისად მაჯერებლად ნოწმობს, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი სასწრაფოდ გადაწყვეტასა და მოგვარებას მოითხოვს. მიზანშეწონილი იქნება პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ერთხელ კიდევ საფუძვლიანად გადახედონ ეკონომიური განათლების დაკომპლექტების საქმეს; სადაც მოსასურხებელი იქნება, უნდა გასწორდეს ამ საქმეში დაშვებული უზუსტობანი; იმასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიურ განათლებაში ჩაბმული მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიები განიცდიან სასწავლო ლიტერატურის მწვავე ნაკლებობას, ამიტომ საჭირო იქნება ჟურნალ-გაზეთების redაქციებმა დროულად გამოაქვეყნონ სტატიები, და უფრო მეტი ადგილი დაუთმონ ცალკეული საკითხების გაშუქებას; ეკონომიურ სწავლებას დიდად დაეხმარება, თუ დადებითად გადაწყდება ტიპიური სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საკითხებზე ლექციების ციკლისა და ბროშურების გამოცემის საქმე; ეკონომიური განათლების თემებზე გამოსაქვეყნებელი სტატიების თეორიული დონის ამაღლებას ხელს შეუწყობს, თუ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოსთან" შეიქმნება ეკონომიური ლიტერატურის განყოფილება; კარგი საქმე გაკეთდება, თუ ჟურნალების, გაზეთების, გამომცემლობების redაქციები და redაქციები განმტკიცდება ეკონომისტთა კადრებით.

მშრომელთა მასობრივი ეკონომიური განათლების საქმეს დიდად შეუწყობდა ხელს, თუ რესპუბლიკაზე დადებითად გადაწყვეტილება ეკონომისტთა საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ეკონომიური ჟურნალის ან გაზეთის დაარსების შესახებ.

ეკონომიური განათლების შემდგომი სრულყოფის ამოცანები გადაჭრით მოითხოვს შესაბამისი ნაბიჯის ამ საქმეში არსებული მდიდარი გამოცდილება, გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდიკის ცალკეული საკითხების დამუშავება და მომზადდეს მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებანი ეკონომიური განათლების გაუმჯობესების საკითხებზე. ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ამ საქმისათვის მოხერხებულად გამოვიყენოთ ჟურნალ-გაზეთების შესაძლებლობანი, მათ ფურცლებზე უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს მეთოდური საკითხების გაშუქებას.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკურ-მეთოდურ კაბინეტსაც შეეხება. მართალია, კაბინეტმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დღედღე ეკონომიური განათლების პერსპექტიული დაგეგმვის საკითხებმა უფრო მეტი დრო წაგვართვა, ვიდრე საჭმის არსებითმა მხარემ. მომავალში ფართო შესაძლებლობა გვაქვს უფრო მეტი დახმარება აღმოვუჩინოთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს მაღალკვალიფიციური ლექციებით, თათბირ-სემინარების, კონსულტაციების, თეორიული კონფერენციების მოწყობით. მთავარია ერთობლივი მუშაობით შეგძლოთ იმის მიღწევა, რომ მშრომელთა ეკონომიური მომზადების დონე შეესაბამებოდეს საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებს.

შ. ჯულაყიძე,
მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის გამგე, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

პარტიის მოწოდებით—მეტალურგთა რიგებში

ფლიოფლობით ფართოვდება რუსთავის მეტალურგიული ქარხანა — ამიერკავკასიის შავი მეტალურგიის პირმშო. მწყობრში დგებიან ახალი საწარმოო სამძლავრეები, მიმდინარეობს ძველი სამძლავრეების რეკონსტრუქცია.

პარტიის მოწოდებით ამ დღეებში მეტალურგიულ ქარხანაში რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის ათობით ადამიანი, ძირითადად კომკავშირელები, ახალგაზრდები, რომლებმაც ახლახან დაამთავრეს საშუალო სკოლა. მოკლე ხანში აქ 227 კაცი მოვიდა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ქართველი ხალხის სიამაყეა. იგი შეიქმნა და იზრდებოდა როგორც მაგნიტკის უმცროსი ძმა, როგორც ათობით ქარხნის, როგორც ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების პირმშო. რუსი და უკრაინელი მეტალურგები თავიანთ ქართველ ძმებს უზიარებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას, ეხმარებოდნენ ახალი წარმოების ათვისებაში, პროდუქციის გამოშვებაში. ახლა, თავის მხრივ, პირველი ქართველი მეტალურგები, რომელთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები, ლენინური პრემიის ლაურეატები, ორდენებისა და მედლების კავალრები, ახლად მოსულებს ასწავლიან მეგრძმედეთა და მეფოლადეთა, მგლინავთა და მილმგლინავთა, კოქსქიმიკოსთა, ჩამომსხმელთა, მვალცავთა პროფესიებს.

ათობით ქართველი ჭაბუკი გასული წლის დამლევს და ახალი წლის დამლეგს ჩამოვიდა აქ მესტიის, ლენტეხის, ყვარლის, ლაგოდეხის, თელავის, კასპისა და რესპუბლიკის ბევრი სხვა რაიონიდან, სამხრეთ ოსეთიდან, აჭარიდან, აფხაზეთიდან.

მარტენის საამქროში ისეთი წარჩინებული მეტალურგის გვერდით, როგორიც არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. სანდგრაშვილი, როგორიც არიან ცნობილი მეფოლადეები ზ. კაკელაშვილი, ლ. მეტრეველი, გ. სებისკვერაძე, გ. ფანჩვიძე და სხვები, დღეს დგანან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ბ. ზაგრაშვილი, ო. მინდიაშვილი, თ. ხიმშიაშვილი, გლინავენ მილებს, ფოლადის ფურცელს, სორტულ პროდუქციას, უშვებენ კოქსს მესტიისა და ლენტეხის რაიონების მკვიდრნი შ. ჩარქსელიანი, გ. ბვიდიანი, დ. ონიანი, დ. ლიპარტელიანი, გ. მიშველიანი, ფურცელსაგლინავ, მილ

ჩვენს მკითხველებს

ახალი წლის 1 იანვრიდან გაზეთი „კომუნისტი“ 616.000 ეგზემპლარი იბეჭდება.

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო!

ამ რამდენიმე დღის წინათ სიხარულით, ამაყად შევოცდი კარი ახალმა — 1973 წელმა.

დაიწყო დიდებული მეცხრე ხუთწლედის მესამე წელი.

გავიმეორებთ შინაარსით სავსე 1972 წელს. ეს იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წელი, ჩვენი შრომელი ერვანი ხალხის დიადი დღესასწაული წელი. ეს იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების წელი.

სწორედ ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებაში ჩვენი მკითხველები იღებდით აქტიურ მონაწილეობას ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, ინსტიტუტებიდან და მშენებლობებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. თქვენს წერილებში იგრძნობოდა მეცხრე ხუთწლედის მძლავრი შრომითი მაჯისცემა.

1972 წელს „კომუნისტის“ რედაქციამ მკითხველებისაგან მიიღო 35.049 წერილი. თქვენმა საინტერესო კორესპონდენციებმა და სიგნალებმა, მოთხრობებმა და ლექსებმა, სხვადასხვა სახის საყურადღებო მასალებმა კიდევ უფრო გაამდიდრეს სარედაქციო ფოსტა.

გულითად მადლობას გიხდით თქვენ, ჩვენო მკითხველებო, გაზეთში აქტიური მონაწილეობისათვის!

მკითხველის სიყვარული გაზეთისადმი თვალნათლივ ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ „კომუნისტის“ ტირაჟმა ახალი — 1973 წლიდან 616.000 ეგზემპლარს მიაღწია.

ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ თქვენი წერილებისა და კორესპონდენციების ნაკადი „კომუნისტში“ კიდევ უფრო გაიზრდება ახალ — 1973 წელს.

დიდია პრესის როლი მასებთან კავშირის განმტკიცების საქმეში. შემდგომ კიდევ უფრო გაფართოვდება გაზეთისა და მისი აქტივის ურთიერთობა, ყოველ ნომერში მეტი ადგილი დაეთმობა მკითხველთა მრავალფეროვან წერილებს.

ეს უფრო საინტერესოს, ღრმაშინაარსიანს გახდის გაზეთს, უფრო აქტიურად ჩადგება იგი თქვენს სამსახურში.

ველით თქვენგან, ძვირფასო მკითხველებო, ახალ წერილებს ჩვენი სისხლსავსე ცხოვრების საინტერესო, საპირბოროტო საკითხებზე, თქვენს კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს, რასაც „კომუნისტის“ რედაქცია გულისხმიერად, ყურადღებით მოეკიდება.

დადგა ახალი, 1973 წელი. დაე ეს წელი თვითეული თქვენგანისათვის ყოფილიყოს მრავალი ნიჭიერული, მუშაობაში ახალი აღმავლობის წელი.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ ბედნიერებას ცხოვრებაში, დიდ წარმატებებს შრომითს საქმიანობაში, ჩვენო მკითხველებო, ჩვენი გაზეთის მეგობრებო!

დღევანდელი ნომრის ეს მესამე გვერდიც სწორედ მკითხველთა წერილებით შევადგინეთ.

საკრედაქციო ფოსტიდან №3

წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

ჩვენი გაზეთის რედაქციამ ქუთაისიდან მიიღო წერილი, რომელშიც მოქალაქე ი. გოლეთიანი ამხილებდა № 3 ავტოსადგურში არსებულ უწესრიგობას, კერძოდ, მგზავრთა მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებებს.

წერილი შესაბამისად გადაგზავნა ჩვენი გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს დ. გელენიძეს, რომელმაც № 3 ავტოსატრანსპორტო ტრესტის ხელმძღვანელებთან ერთად ადგილზე შეამოწმა ეს ფაქტები.

მიღებული ზომების შედეგად № 3 ავტოსადგური და მის წინ მდებარე ტერიტორია კეთილმოეწყო, გაფართოვდა მგზავრთა მოსაცდელი. სადგურის წინ, სადაც ნაწვიმარი წყალი დგებოდა, ჩადებულ იქნა ღვარსადენი მილი. სადგურიდან გამავალი ავტობუსების რეისების რაოდენობა (მარშრუტებს შორის ინტერვალი 20-30 წუთია) სავსებით აკმაყოფილებს მგზავრთა მომსახურების მოთხოვნებს. შედარებით მგზავრთა მეტი ნაკადია ე. წ. ბაზრობის დღეებში და ზოგჯერ ადგილი აქვს ავტობუსების გადატვირთვას, მაგრამ შესაძლებლობისა და აუცილებლობის ფარგლებში ამ დროს ეწყობა დამატებითი რეისები.

მტკაცეა კონტროლიც დაწესებული ავტობუსებში მგზავრთა წესიერად ჩასხდომისა და უბილეთოდ მგზავრობის აღსაკეთად.

* * *

ამას წინათ რედაქციამ მიიღო სიგნალი, რომელიც ამხილებდა №3 თბილკვებვაჭრობის № 6 პავილიონში არსებულ დამახინჯებებს. სიგნალი სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ დ. ალანიამ რედაქციას აცნობა, რომ უახლესი წერილი მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. № 3 „თბილკვებვაჭრობის“ პავილიონი № 6-ის გამყიდველი პავლე არსენის-ძე ერაძე მომხმარებელთა მოტყუებისათვის მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

თვალს ნუ მოვარიდებთ

რედაქციას უკასუხებს ქალაქ თბილისის პროკურატურა

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა რედიდის მასალები, რომელშიც მხილებული იყო თბილისის საკლიმატერნო ბაზრების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, სპეკულაციის ფაქტები.

ამ წერილთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის პროკურატურამ რედაქციას აცნობა, რომ წერილში დასახელებული ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა.

ბაზარი „კომუნისტისა“ და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ ჩატარებული რეიდის შედეგად გამოვლინებული სპეკულანტების გურგენ გიორგის-ძე მინასაშვილის, სელიმ მაგამედ ოღლი იუსუბოვის, ვიორ მათიაშვილის, არამ შალვას-ძე ბადალოვის, ი. ფირცხალავას, შამისტან ალიევის, ცოლიმარის ივნა იაკობის-ძე და რაია იოსიას ასული დავარაშვილების, ალიხან ათამის-ძე ნადიევის, ალექსანდრე გარეგინ-ძე ბოლოსოვის, ელგუჯა პროკოფის-ძე ბოლქვაძის, ნოდარ ოთარის-ძე ბაზაევის, ასია ალადიმერის ასული მინასიანის, ნინო გიორგის ასული ფსუტურის, ფალიკო ციბას-ძე ხოზიევისა და პეტრე შაგინიანის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები და მიმდინარეობს გამოძიება. მათ შორის ეიერ მათიაშვილის და ვ. ფირცხალავას ბრალდების საქმეებზე გამოძიება ამჟამად დამთავრებულია და განსახილველად გადაეცა სახალხო სასამართლოს. დანარჩენ დამნაშავე პირთა მიმართ კი გამოძიება უახლოეს დროში დამთავრდება და საქმეები გადაეცემა სახალხო სასამართლოებს.

მკითხველი გვატყობინებს

გაანა მარტო დაპირება კმარა?

როცა სოფლის თავკაცები გულგრილობენ...

სოფელი ბაჯი ერთ-ერთი დიდი სოფელია ამბროლაურის რაიონში. მის მცხოვრებლებს თვალსაჩინო წელილი შეაქვთ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის ბრძოლის საქმეში. ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ უყურადღებოდ არის მიტოვებული. პირველი, რაც სოფლის ერთ-ერთი უბნის მცხოვრებლებს გვაწუხებს, ეს არის წყაროს კეთილმოუწყობლობა. ოთხ წელზე მეტია ღადიშის სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელები გვპირდებიან ზაზიაურის წყაროს კეთილმოწყობას, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმეს საშველი არ დაადგა. ჩვენი აზრით, თვით სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ა. ლომთაძეს აკლია მონდომება და ინიციატივა. წელს მცხოვრებლებმა საკუთარი ძალებითა და მასალებით ამოვაშენეთ წყალშემკრები აუზის ცემენტის კედელი, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ. საბჭო რომ აქტიურად დაგვხმარებოდა, ახლა წყარო კეთილმოწყობილი იქნებოდა.

ანც უბანში მისასვლელი გზა გვიჭირდა. ორასი მეტრის მანძილზე ღობეყორე ჩამოინგრა და გზის საგალი ნაწილი შეავიწროვა. ამ ხუთი თვის წინათ რაისაბჭოს აღმასკომმა ოფიციალურად მისწერა ღადიშის სასოფლო საბჭოს შეეკეთებინა საუბნო გზა, მაგრამ ა. ლომთაძემ არც ეს მითითება შეასრულა. გზა დღესაც საგალალო მდგომარეობაშია, მასზე ტრანსპორტი ვერ მოძრაობს.

გვიკვირს, რატომ იჩენენ ასეთ გულგრილობას სოფლის თავკაცები?

ბ. ჭელიძე,
ამბროლაურის რაიონის სოფელ ბაჯის მცხოვრები, სამამულო ომის ინვალიდი.

სიახლენი დებულებაში სახელმწიფო პენსიების შესახებ

„კომუნისტის“ ინტერვიუ საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის მინისტრთან ამხანაგ შ. ჩიხლაძესთან

იგასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გასული წლის 3 აგვისტოს სახელმწიფო პენსიების დებულებაში შეიტანა ცვლილებანი, ჩვენმა კორესპონდენტმა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს ამხ. **შ. ჩიხლაძეს** სთხოვა განემარტა, თუ რა სიახლეა საპენსიო უზრუნველყოფის კანონმდებლობაში.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ 1956 წლის 14 ივლისს მიიღო კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ. ამ კანონის შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1956 წლის 4 აგვისტოს დამტკიცა დებულება სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ, რომლიც რეგლამენტირებული იყო სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესები.

1956 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა ახალი მძლავრი ნაბიჯით წავიდა წინ. გაჩნდა მრეწველობის ახალი დარგები და პროფესიები, საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვამ, მექანიზაციის გამოყენებამ და საწარმოო პროცესების (ტექნოლოგიის) პროგრესმა გამოიწვია ზოგიერთი პროფესიისა და თანამდებობის სახეცვლილება.

ამ ცვლილებებთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მისი შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტი დროდადრო გამოსცემდნენ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებს — დადგენილებებსა და განმარტებებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ცვლილებები შეაქვნდა სახელმწიფო პენსიების კანონში.

აღნიშნულის გამო მომწიფდა საკითხი, რომ მომზადრიყო სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში შეტანილი ცვლილებების უნიფიკაცია ან, იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, კოდიფიკაცია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გასული წლის 3 აგვისტოს დამტკიცა სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულება. ეს დებულება ძირითადად აზუსტებს 1956 წელს დამტკიცებული დებულების ზოგიერთ პუნქტს, შეაქვს რედაქციული და კოდიფიკაციური ხასიათის ცვლილებები, მაგრამ არის მოცული რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებებიც. ეს ცვლილებები უპირველეს ყოვლისა ეხება პენსიის ოდენობის განსაზღვრისა და შეღავათიანი პირობებით პენსიის დანიშვნის საკითხებს.

ასე, მაგალითად, 1956 წლის დებულების თანახმად საშუალო თვიურ გამომუშავებაში, საიდანაც გამოითვლებოდა პენსიები, გამორიცხებოდა ის თვეები, როცა მუშაკი იყო შეებულებაში ან იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. ეს თვეები იცვლებოდა სრულიად სრული თვეებით. ეს წესი გათვალისწინებული იყო იმისაგან, რომ არ მომზადრიყო პენსიის გამოთანგარიშება ისეთი თანხიდან, რაც ნაკლები იქნებოდა მუშაკის ჩვეულებრივ საშუალო გამომუშავებაზე, ე. ი. იგი სასარგებლო უნდა ყოფილიყო პენსიონერისათვის.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ეს წესი ყოველთვის არ იყო სასარგებლო პენსიონერისათვის. ყველთაოდ ცნობილია, რომ მეტწილად პრემიები მუშაკებს, მიეზედვიან ამ პრემიების პერიოდულობისა (თვიური, კვარტალური, ნახევარწლიური, წლიური), ეძლევათ შვებულებაში წასვლისას ან ავადმყოფობის დროს. ვინაიდან კანონის მიხედვით პრემია მხედველობაში მიიღება იმ თვის ხელფასთან ერთად, რომელ თვეშიც იგი ფაქტიურად არის გაცემული, არასრულ თვესთან ერთად გამოირიცხებოდა გამოთანგარიშებიდან პრემიაც.

დებულების ახალი რედაქციით ეს შეუსაბამობა თავიდან აცილებული. გამომუშავებაში, რომლიანაც გამოთანგარიშება პენსიები, შეიძლება (პენსიონერის სურვილის მიხედვით) შეტანილ იქნას საავადმყოფო ფურცლით მოცემული დროებითი შრომისუნარიანობა და ხელფასი, რომელიც მუშაკს შეუნარჩუნდა შვებულების პერიოდში. ამრიგად, თუ პრემია გაცემულია იმ თვეში, როცა მუშაკი ავად იყო, პრემიის ემატება საავადმყოფო ფურცლით გაცემული დაბმარება და ხელფასი (თუ კი ამ თვეში იყო სამუშაო დღეებიც), რაც ერთად აღებული შეადგენს მოცემული თვის ფაქტიურ გამომუშავებას. თუ პრემია გაცემულია შვებულებაში ყოფნის თვეში, მაშინ პრემია პლუს საშვებულებო

დასანიშნავად საჭირო შრომის სტაჟის გამოანგარიშების წესს.

ასე, მაგალითად, 1956 წლის დებულების თანახმად საშუალო თვიურ გამომუშავებაში, საიდანაც გამოითანგარიშება პენსიები, გამორიცხებოდა ის თვეები, როცა მუშაკი იყო შეებულებაში ან იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. ეს თვეები იცვლებოდა სრულიად სრული თვეებით. ეს წესი გათვალისწინებული იყო იმისაგან, რომ არ მომზადრიყო პენსიის გამოთანგარიშება ისეთი თანხიდან, რაც ნაკლები იქნებოდა მუშაკის ჩვეულებრივ საშუალო გამომუშავებაზე, ე. ი. იგი სასარგებლო უნდა ყოფილიყო პენსიონერისათვის.

ამ ცვლილებებთან დაკავშირებით ამ სტატიის გამოქვეყნებისა-თვის, რომელთა სამუშაო დროის აღრიცხვა შეუძლებელია. ესენი არიან შინ მომუშავენი, შტატის დამამზადებლები, რომლებიც ამზადებენ: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ყვავის ნაოჭებს, მეორეულ და სხვა სახის ნედლეულს, აგრეთვე—დატარებითი ვაჭრობის გამყიდველები, ფოტოსაწარმოთა აგენტები, თეატრების ბილეთების გავრცელების შტატგარეშე რწმუნებულები. მათი მუშაობის დრო რეგლამენტირებული არ არის. არც თუ ისე ამჟამად ისინი მუშაობენ საერთოდ დაწესებულ დროზე მეტს, ან ძირითადად ოჯახის წევრებს და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში შეუძლებელია ცალკე გამოიყოს ჩვეულებრივ საათებში ან სხვის მიერ გამომუშავებული ხელფასი.

ამიტომ ახლა ამ პირებს, აგრეთვე ინალოგიური კატეგორიის მუშაკებს, რომლებსაც საქმიანობის შემთხვევაში განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად, პენსიები გამოანგარიშებათ ფაქტიური გამომუშავებიდან. მაგრამ არა უმეტეს ერთნახევარი სატარიფო (საანგარიშწორებო) განაკვეთისა ან თვენახევრის სარგოსი (შესაბამის შემთხვევაში უკიდურეს ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურეს ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მუშაობისათვის მოქმედი კოეფიციენტებისა და დანამატთა დარიცხვის გამოყენებით). თუ რომელიმე კატეგორიის მუშაკებისათვის სატარიფო (საანგარიშსწორებო) განაკვეთი ან სარგო არ არის დაწესებული, აიღება ანალოგიური პროფესიების ან თანამდებობათა ერთნახევარი განაკვეთი, ან ერთნახევარი სარგო.

შეიცვალა შრომის სტაჟის გამოანგარიშების წესი, რომელიც იძლევა შეღავათიანი პირობებით პენსიის მიღების უფლებას იმ პირებისათვის, რომლებიც მუშაობდნენ მიწისქვეშა ან მავნე პირობებიან (სია № 1) სამუშაოებზე, ან მძიმე პირობებიან (სია № 2) სამუშაოებზე, როგორც ცნობილია, შეღავათიანი პირობებით (უფრო ადრე, ვიდრე საერთოდ არის დაწესებული) მოხუცებულობის პენსიის მისაღებად მაძაკეცმა № 1 სიაში ჩამოთვლილ საწარმოებში, საამქროებში, პროფესიებზე და თანამდებობებზე უნდა იმუშაოს არანაკლებ 10 წლისა, ქალმა 7 წელი და 6 თვე (№ 2 სიით — შესაბამისად 12 წელი, 6 თვე და 10 წელი). ზოგიერთ შემთხვევაში ამ სამუშაოს უთანაბრდება სხვა საქმიანობაც, მაგალითად, სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში და აგრეთვე მუშაობა არჩევითს თანამდებობაზე.

ახალი დებულებით დაწესდა, რომ შეღავათიანი პირობებითა და შეღავათიანი ოდენობით პენსიის დანიშვნისას მუშაობა ან სხვა საქმიანობა, რომელიც გათანაბრებული აღნიშნული პენსიის მიღების უფლების მიმცემ სამუშაოსთან, მხედველობაში მიიღება იმ ოდენობით, რომელიც არ აღემატება ამ სიებით გათვალისწინებული მუშაობის არსებულ შრომის სტაჟს.

პენსიები, რომლებიც დანიშნულია 1972 წლის 3 აგვისტამდე, ე. ი. ახალი დებულების დამტკიცებამდე, არ გადაისინჯება. მაგრამ თუ პენსიონერმა, რომელსაც პენსია უკვე დანიშნული აქვს და ამის შემდეგ იმუშავა არანაკლებ ორი წლისა და უფრო მაღალი ჯამიმუშავება ჰქონდა, ვიგრე ის, რომლიდანაც პენსია არის გამოანგარიშებული, მას პენსია ავადაანგარიშდება ამ მაღალი გამომუშავებიდან, ახალი წესების ძალიანლობაში მიღებით.

ვასტანგ გორგანელი

წინ შევაგებოთ

ვარსკვლავიანი ცა მოაქვს
აფრას,
დიდების მაცნედ წამები
იქცა.
ჩვენი მეკვლეა ახი წლის
ბაბა,
გულდაგულ რომ ოლის
ხაკვნე ფიცარს.
ჩვენი მეკვლეა მართალი
გული, —
ბატიოსანი კაცის მარჯვენა,
პირველი სუნთქვა გაგრილი
ნნულის,
რომ მგავს პირველი
ტროფობის გაჩენას.
ანთებულ ლაუვარდს
სიმღერა მისწვდა,
მთვარემ სინათლის ბადე
ისროლა.
ჩვენი მგკვლეა, მშობელო
მიწავ,
შენი სიცოცხლის
მარადისობა.
ამ ხაახალწლო ნატვრას და
სურვილს,
ამ ფიფქთა კრთომას,
გაშლილს ფარჩებად,
წინ შევაგებოთ მართალი
გული,
ბატიოსანი კაცის მარჯვენა.

ტაგუ მეგურიშვილი

ინატრე რამე!

ჩარჩენილ ხეგდას
სიხარული
სულიდან ხაპავს.
ქუჩებს აუტყდათ
ნათურების
თვალის ხამნამი...
ის ძველი წელი
ჩაისუნთქა
წარსულმა ხარბად,
ამოისუნთქა მომავალმა
წელი ახალი.
ღონიერ ქედზე
ათას ცხრაას
სამოცდა ცამეტს
თქვენი და ჩემი
სურვილები
ადევს უღლებად...
ინატრეთ რამე,
მეგობრებო,
ინატრეთ რამე!
მაქვს წინათგრძნობა —
უსათუოდ შეგისრულდებათ!

გივი ჭიჭინაძე

მოდის იმედით

ახალი წელი!
წამწამი სველი
სიამის ცრემლით,
ფიფქა-ფანტელით...
აუხდენელი
ახდა რამდენი!
რამდენი ფიქრი,
ნატვრა რამდენი!
მოდის იმედით,
მაღალი რწმენით
და გულს ახალი
თრთოლვით აგვივსებს —
კეთილი პაპას
ჭალარა წვერი,
ნაძვის ხე,
თოვლი
და
ხიხალისე.

ელექტორი კომბინატში

ინგურის ცელულოზისა და ჭალალდის კომბინატთან წარმატებით მოქმედებს ზუგდიდის ხახალხო უნივერსიტეტის მრეწველობისა და ეკონომიკის ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტის ხამ ჯგუფში სისტემატურად 95 მსმენელი მეცადინეობს.

ფაკულტეტს ხელმძღვანელობს სამრეწველო წარმოების ეკონომიკის ლექტორი, კომბინატის ჭალალდის ფაბრიკის უფროსი ინჟინერ-ტექნიკოსი მურთაზ ყალიჩავა.

სურათზე: ლექტორი მ. ყალიჩავა მეცადინეობას უტარებს მრეწველობისა და ეკონომიკის ფაკულტეტის მსმენელთა ჯგუფს.

ს. თევზაძის ფოტო.

ვუბრუნდებით დაგეჭდილს

რო დე მ დის?

კარლ მარქსის სახელობის ჭუჩა ერთ-ერთი ცენტრალური ჭუჩაა ქალაქ ზუგდიდში, რადგან იგი პირდაპირ დაკავშირებულია ქალაქის ცენტრალურ მოედანთან. მაგრამ ამ ჭუჩის ცხოლოდ პატარა ნაწილია კეთილმოწყობილი. ჭუჩის დანარჩენი ნაწილი ისევ კეთილმოუწყობელია.

ამ ჭუჩა მეტი. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის უბანში, იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ეს ჭუჩა გაუვალია.

ქალაქის ხელმძღვანელები ამას ყოველდამშვიდებით შეაყურებენ. ამ ჭუჩის კეთილმოწყობის თაობაზე არაერთხელ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ ამას შედეგი არ მოყოლია.

ჯერ კიდევ მარშან დახმარებისათვის მივმართეთ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას. განცხადებაზე საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას გაუგზავნა პასუხი, რომელშიც ეწერა: „განცხადებაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ამ ჭუჩის კეთილმოსაწყობად (მოხრეშვა, საწრეტი მილების ჩადება, ტროტუარის გამოყოფა და განათება) გამოიყო 28 ათასი მანეთი“. სამუშაო უნდა დაწყებულიყო გასული წლის მარტიდან. მაგრამ დაპირება ქალაქდზე დარჩა, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ჭიანურდება.

ი. ქვარცხავა, ბ. ჯიქია.

ტექნიკა

ბურავლი

ბურავლი ეს ... ...

ახალი წელი, ახალი სიხარული

ზიარულებს დრო დაუდგათ ბავშვებს — სასკოლო არდადეგები. მათთვის დგას მორთული ნაძვისხეები, ბალებსა და პარკებში ბრუნავს კარუსელები. გამოცცხლებულა ამ დღეებში ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. აქ ბავშვებისათვის იმართება კარნავალები.

სურათებზე: მარცხნივ — ბავშვების ტრიალი კარუსელით; მარჯვნივ — კარნავალი საახალწლო ნაძვისხესთან.

ბაკურიანის ტრადიციული

გაიხსნა შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენელთა შეკრება-სემინარი

ბაკურიანი. 4 იანვარი. („კომუნისტის“ სპეც. კორ. რ. ჭელიძე). გუშინ აქ ჩამოვიდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენელთა ტრადიციული შეკრება-სემინარის მონაწილენი. წლევანდელი შეკრება რიგით მეშვიდეა და იგი ეძღვნება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ახალგაზრდებთან ერთად სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი მწერლები, თეატრისა და კინოს ოსტატები, კომპოზიტორები, მხატვრები, ჟურნალისტები. ჩამოვიდნენ სტუმრები მოძმე-მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენელთა მე-7 შეკრება-სემინარმა მუშაობა დაიწყო გუშინ. იგი გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ბ. ბედინეიშვილი.

შეკრება-სემინარზე გაიმართება „ჟურნალისტთა და პუბლიცისტთა“, „მხატვრობისა და არქიტექტურის“, „მუსიკის“, „თეატრის“, „კინოს“ დღეები, ხოლო სემინარის ბოლო დღე, 10 იანვარი, დაეთმობა დისპუტს, რომლის თემაა „კულტურა, საზოგადოება, პიროვნება“.

მ. გახოკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გმირი, სკკპ წევრი 1932 წლიდან მმდგილ ლევანის-ძე გახოკიძე.

მ. გახოკიძე დაიბადა 1909 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ქვათითში. შრომითი საქმიანობა დაიწყო მოჯამაგირედ და ტყავის ქარხნის მუშად, შემდეგ ამავე ქარხნის ცვლის უფროსად, მუშაობს საქოლოპკავშირის კადრების განყოფილების გამგედ. 1939 წელს მ. გახოკიძე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კურსების მსმენელია, ხოლო შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლის კურსანტი.

სამამულო ომის დაწყებიდან მ. გახოკიძე ჯერ ამიერკავკასიის ფრონტზე იყო, შემდეგ კი ყირიმის ფრონტზე ასეულის პოლიტიკურ ხელმძღვანელად. მიღებული ჭრილობების მკურნალობის შემდეგ მ. გახოკიძე სხვადასხვა დროს მუშაობს თბილისის პირველი მაისისა და კიროვის რაიონების სამხედრო კომისრად. თადარიგში გასვლის დღიდან იგი თბილისის სამრეწველო საწარმოებში მოღვაწეობს. 1956-60 წლებში მ. გახოკიძე ქარხნა „პლასტმასის“ პარტბიუროს გამგეთავისუფლებული მდივანია, ხოლო 1960 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო მშრომელთა დეპუტატების კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე, რაისაბჭოს დეპუტატი.

მ. გახოკიძეს დიდ სამამულო ომში სევასტოპოლის დაცვისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მეენეჯა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. იგი პირველი ქართველია, რომელმაც სამამულო ომში ეს მაღალი წოდება მიიღო, დაჯილდოებული იყო აგრეთვე ორდენებითა და მედლებით. გულისხმიერი, სპეტაკი მუშაკის მ. გახოკიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონული კომიტეტი; მშრომელთა დეპუტატების კალინინის რაისაბჭოს აღმასკომი; საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტრო; ომის ვეტერანთა საკავშირო კომიტეტის თბილისის სექციის პრეზიდიუმი.

მოკლედ

● იუბილესათვის მზადების დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს ზუდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის მშრომელებმა. ამას წინათ აქ დამთავრდა მშენებლობა ახალი ხიდისა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სოფლებს დიდ ნეძს, ორულუსა და ერგეტას. მშრომელები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს მუშაკების მიმართ, რომელთა ენერგიულმა მუშაობამ განაპირობა ხიდის დროულად გადაცემა საექსპლოატაციოდ.

ოქტომბერ-დარჩელის მიმართულებით წყალთა მეურნეობის სამმართველომ ააშენა კაპიტალური ხიდი. საუბნო ხიდები აშენდა ოქტომბერ-კანათისა და ოქტომბერ-ციაშის მიმართულებით.

ბ. ალუიბაია.

● სოფელ გულრიფშის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს, აქ აშენდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი უნივერსალური მაღაზია.

მაღაზიის პირველ სართულზე განლაგებულია გალანტერია-პარფიუმერიის, კულტსაქონლის, რადიო და ტელესაქონლის სექციები, მეორე სართული უჭირავს მზა ტანსაცმლის, ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და სუვენირების სექციებს.

ბ. შეროზია.

ქართული წიგნი—72 „მერნის“ საგამოფენო სალონში

თარეებზე კოპწიაღ ჩამორიგებულან მოსურათატებული თუ სადა, მაგრამ კეთილსახოვანი ნიორფერი ქართული წიგნები. თვალს ახალისებს მათი სანიმუშო გამოცემა, მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების ხელოვნების ესოდენ დიდი მიღწევა. ქართული წიგნი ხომ მონაწილეა მრავალი საერთაშორისო თუ საკავშირო გამოფენებისა, კონკურსებისა და თავიანი კოპწიაობის საზღვარად უმაღლესი შეფასებაც დაუმსახურებია!

სწორედ უკანასკნელი წლების თვალსაჩინო გამოცემების ექსპოზიციას დათმო ამ დღეებში გამომცემლობა „მერნის“ სალონი. იგი მოეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და წიგნის საერთაშორისო წელიწადს. აქ წარმოდგენილია რესპუბლიკის ათი გამომცემლობის ხუთასამდე დასახელების წიგნი, მათ შორის მხატვრული, მეცნიერულ-პოლიტიკური თუ თარგმნილი ლიტერატურა.

მიმზიდველია გამომცემლობა „ხელოვნების“ საგამოფენო სტენდი. აი ქართული ხელნაწერების ჩინებული გამოცემა, რომელსაც 1970 წელს მოსკოვში გამართულ წიგნის საკავშირო კონკურსზე უმაღლესი ჯილდო — ი. ფედოროვის სახელობის დიპლომი მიენიჭა მხატვრული გაფორმებისა და მაღალი პოლიგრაფიული დონისათვის, ზ. ამირანაშვილის „სახულის კარედი“ (მხატვარი და მაკეტის ავტორი რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ზ. კაპანაძე), რომლის გამოცემაც მიეძღვნა წიგნის საერთაშორისო წელიწადს და რომლითაც გამომცემლობა „ხელოვნება“ იწყებს ქართული კულტურის ძეგლების სერიის პუბლიკაციას.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა რუსულენოვანის დიდი გამომცემლობების „საბჭოთა საქართველოსა“ და „მერნის“ მიერ წარმოდგენილი გამოცემები. საყურადღებოა სვანური ხალხური ეპოსის „ლადღერის“ გამოცემა, რომელიც შეკრიბა და დაასურათა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ვ. ონიანმა, ლადო ასათიანის (მხატვარი ნ. იფანოვი) და მ. ლებანიძის რჩეული ნაწარმოებების (მხატვრები ო. მირზაშვილი, ო. ჯიშკარიანი) კრებულების გამოცემის მაღალი კულტურა, აგრეთვე მრავალი სხვა წიგნი.

დამთვალიერებლებს მოსწონთ ხელმადლიანი ქართველი მხატვრების მიერ გემოვნებით გაფორმებული „დედა ენა“, „რუსსკოე სლოვო“, „ბრითმეტიკა“ და სხვა სასკოლო სახელმძღვანელოები (გამომცემლობა „განათლება“).

მნახველთა მოწონება ხვდა გამომცემლობების „ნაკადულის“, „მეცნიერების“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, „ალმანახის“, „საბჭოთა აჭარის“, „ირისთონის“ მიერ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ ლიტერატურას, პოლიგრაფიული სუვენირების ლაბორატორიის მიერ დაბეჭდილ ფერად მისალოდ ბარათებს.

ეს საინტერესო გამოფენა მოაწყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა. ექსპოზიცია მხატვრულად გააფორმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ვ. ონიანმა.

რ. მუხიგულაშვილი.

საახალწლო გარგენები

სან-პაულო. ტრადიციული „ჯორდა სან-სილვესტრეს“ შემდეგ ამ შეჯიბრების ბევრმა მონაწილემ სტარტი აიღო ახალ, 5-კილომეტრიან გარბენში, რომელიც „იბერაპაულას“ სტადიონზე გაიმართა.

პირველობა ამჯერადაც მოიპოვა კოლუმბიელმა ვიქტორ მორამ — 14.29,6. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მექსიკელი ლუის არო — 14.48,0 და იუგოსლავიელი მილისავ ანგელოვი — 14.57,8.

ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონ ფინელ ლასე ვირენს „კორდის“ დროს დაუზიანდა კუნთი და უარი თქვა გამოსვლაზე ამ გარბენში.

ბაღრიდი. საახალწლო გარბენმა 6 კილომეტრსა და 400 მეტრზე მიიზიდა ოთხი ქვეყნის 35 სპორტსმენი. ფინიშზე პირველი იყო ინგლისელი როჯერ კლარკი — 15.38,0. გამარჯვებულს კვალდაკვალ მიჰყვებიან გრეგემ ტაკი (დიდი ბრიტანეთი) — 15.47,6 და ესპანელი ხავიერ ალვარეს-ხალგადო — 16.06,4.

ოლიმპიურ ტრამპლინზე

23 ენლის მოსკოველი არმიელი სერგეი ბოჩკოვი გამარჯვებული გამოვიდა „ტრადიციული „ოთხი ტრამპლინის ტურნეს“ მესამე ეტაპზე. მან უკან ჩამოიტოვა 17 ქვეყნის 94 მეტოქე.

ინსბრუკის დიდმა ტრამპლინმა, რომელზეც 1964 წლის ზამთრის ოლიმპიადა მიმდინარეობდა, საბჭოთა მხტომელს უკვე პირველივე ცდაზე მოუტანა წარმატება. მან 89 მეტრი სიგრძის ნახტომი შეასრულა, რისთვისაც 114 ქულა მიიღო.

პირველ ორ ეტაპზე გამარჯვებული რაინერ შმიდტი (გდრ) მასთან ავიდა 1 მეტრსა და 1,4 ქულას. მეორე ცდაში ბოჩკოვი 90 მეტრზე გადახტა და ჯამში 231,9 ქულა მოაგროვა. თუმცა შმიდტმა ამჯერად ერთი მეტრით უკეთესი შედეგი აჩვენა, საერთო ჯამში მანც წაგო 3 ქულა.

სამი ეტაპის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს შმიდტი — 695 ქულა. ბოჩკოვი 640 ქულით მეხუთე ადგილზეა. „მფრინავ მოთხილამურეთა“ ტურნე დამთავრდება 6 იანვარს ავსტრიის ქალაქ ბაშოფსჰოფენში.

რამდენიმე სტრიქონით

□ ხელბურთი. შვეიცარიაში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი სტუდენტთა შორის, რომელშიც მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ნაკრებიც. საბჭოთა ხელბურთელებმა დაამარცხეს შვედები — 25:15, ბულგარელები — 22:14, ნორვეგიელები — 29:16 და პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქვეჯგუფში. ახლა ისინი ნახევარფინალში შვეიცის ნაკრებთან ერთად შეხვდებიან გფრ-ისა და ესპანეთის გუნდებს. მეორე ნახევარფინალში გაგიდნენ იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და პოლონეთის გუნდები.

□ ბადრაკი. ბასტინგსის საერთაშორისო ტურნირში შვედმა გროსმეისტერმა ანდერსონმა დამარცხება განიცადა ინგლისელ ოსტატ პარტხტონთან, რომელიც დაეწია ლიდერს ულმანს (გდრ), ვინაიდან უკანასკნელმა ყიამზე ითამაშა ტუმკოვთან. ლიდერებს ახლა 4,5 ქულა აქვთ თვითეულს.

□ ჰოკეი. ბლუმინგტონში (აშშ), სადაც მიმდინარეობდა მსოფლიოს უძლიერეს ჰოკეისტთა ტრადიციული ტურნირი, მოსკოვის ნაკრებმა დიდი ანგარიშით 13:3 დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები და შეჯიბრების მთავარი პრიზი მოიპოვა.

თბილისის კ. ს. კუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1973 წელს შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოუწყვეტლად:

1. ბოტანიკა — 1 ადგილი.
2. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში — 1 ადგილი.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, წარმოებისაგან მოწყვეტლად — არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი და პედაგოგიურ-მეცნიერული კვლევის უნარი.

უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში მისაღებ გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირნი, რომელთაც ექნებათ უმაღლესი სასწავლებლის (ფაკულტეტის) რეკომენდაცია.

ასპირანტურაში მიღების მსურველები გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხოურ ენაში უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მიხედვით.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით; 1. ნოტარიალურად დამოწმებული დიპლომის პირი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დიპლომის დანართი); 2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; 3. ავტობიოგრაფია; 4. კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით; 5. გამოქვეყნებული შრომები (თუ აქვთ ასეთი) ან სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი); 6. საბუთი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან სათანადოდ დამოწმებული), ან სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია; 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ყველა საბუთი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში 1973 წლის 5 იანვრიდან 15 იანვრამდე. მისაღები გამოცდები 20 იანვრიდან 27 იანვრამდე.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში.

მისამართი: თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი 32; ტელეფონი — 22-50-71.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1973 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით:

1. აგროქიმია.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ:

1. მიკრობიოლოგია (მიზნობრივი ადგილი); 2. სახოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია (მიზნობრივი ადგილი); 3. სახოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ექსპლოატაცია და რემონტი; 4. საერთო მიწათმოქმედება; 5. მემცენარეობა (მებოსტნეობა); 6. სუბტროპიკული კულტურები (ეკოლოგია).

წარმოებისაგან მოწყვეტით ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არა უმეტეს 35 წლისა, ხოლო ასპირანტურაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ — არა უმეტეს 45 წლისა, რომელებსაც დამთავრებული უმაღლესი განათლება აქვთ და რომლებმაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი გამოიჩინეს, სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვიდან.

სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც ასპირანტურაში შედიან, არჩეული სპეციალობის პროფილის მიხედვით პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ორი წლისა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებსაც არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა ორი წლის გამოცდილება აქვთ, მიმღებმა კომისიებმა შეიძლება ასპირანტურაში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად დაუშვან უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ.

ასპირანტურაში მიღების შესახებ განცხადება მიცემულ უნდა იქნას უმაღლესი სასწავლებლის რექტორის სახელზე და დართოს: ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით; ბ) დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან; გ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშების სია, ცნობები გამოგონებათა, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესახებ, ის პირები, რომლებსაც გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშები, აგრეთვე საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და გამოგონებანი არა აქვთ, წარადგენენ სამეცნიერო-მოხსენებებს (რეფერატებს) არჩეულ სპეციალობაში; დ) მოწმობა № 6 ფორმით მოცემულ სპეციალობაში გთვალისწინებული საკანდიდატო გამოცდების ჩაბარების შესახებ იმ პირთათვის, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ ჩააბარეს საკანდიდატო გამოცდები.

პასპორტი და დიპლომი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ პირადად უნდა წარადგინოს ასპირანტურაში შემსვლელმა.

ასპირანტურაში ჩასარიცხავად განცხადებები მიიღება 1973 წლის 25 იანვრამდე.

ხაკონკურსო გამოცდები — 1973 წლის 5 თებერვლიდან.

ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად დაშვებულ პირებს ეძლევათ 30 კალენდარული დღის შვებულება ხელფასის შენარჩუნებით სამუშაო ადგილზე გამოცდების ჩაბარებისათვის მოსამზადებლად.

ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ ხაკონკურსო გამოცდებს სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების მოცულობით.

განცხადებები და დოკუმენტები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ქალაქი სოხუმი, კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ვის სჭირდება ხმოვანი სიგნალი?

„ქომუნისტის“ ინტერვიუ

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება ავტომანქანების რაოდენობა. რაც დრო გადის, მით უფრო რთული ხდება ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა ქუჩაში მოძრაობა. ამიტომ ჩვენში მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი „საგზაო მოძრაობის წესები“ და მასთან ერთად ახალი სტანდარტის საგზაო ნიშნები. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი **ბ. ბაბაურიძე** ესაუბრა თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსს, მილიციის პოდპოლკოვნიკს **ზურაბ ხატელიშვილს** და მიმართა რამდენიმე კითხვით.

— რამ განაპირობა საგზაო მოძრაობის ახალი წესების შემოღება?

— საგზაო მოძრაობის ახალი წესების შემოღება გამოიწვია საავტომობილო ტრანსპორტის მკვეთრმა ზრდამ. ასევე პერსპექტივაში სამამულო საავტომობილო წარმოება სულ უფრო მეტ ავტომობილებს გვპირდება. ახლახან მოსკოვში ჩადგა ტოლიატის საავტომობილო ქარხნის მესამე კონვეიერი, დამკვიდრებული ტემპით შეწყდება საავტომობილო გიგანტი მდინარე კამაზი. ახალი წესები და საგზაო ნიშნები კი ხელს შეუწყობენ რაც შეიძლება რაციონალურად გამოვიყენოთ მოძრაობის მარეგულირებელი ტექნიკური საშუალებები, გავზარდოთ გზების გამტარუნარიანობა, უზრუნველვყოთ ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოება. ახალი წესები რაც მთავარია მარტივია და მძღოლი უფრო ადვილად აღიქვამს მას.

— რა ცვლილებები მოხდა საგზაო მოძრაობის ძველ წესებში?

— ცვლილებები ბევრია. მხოლოდ აქ რამდენიმეზე გავამახვილებ ყურადღებას. ერთ-ერთია რეგულირებული გზაჯვარედინის გაკვლის წესი. როდესაც ტრანსპორტი უხვევს მარჯვნივ ან მარცხნივ შუქნიშნის მიხედვით, ახალი წესების თანახმად უპირატესობა ეძლევა ფეხით მოსიარულეს — მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს, გაატაროს ფეხით მოსიარული. აგრეთვე დროულია ის ღონისძიება, რომ მძღოლებს ჭარალებად მანქანებით გაჭედილი მოედნებსა და გზაჯვარედინებზე შესვლა მანამ, სანამ არ განხეორთება ეს მოედნები და გზაჯვარედინები.

გარდა ამისა გაიზარდა საგზაო ნიშნების რიცხვიც, რომლებიც 78 ერთეულიდან 126-ს მიაღწია. ზოგიერთმა საგზაო ნიშანმა შეიცვალა ფორმა. ერთი ნიშნის — „შეზღუდვათა დასასრულის“ ნაცვლად ახლა გვაქვს 4 ნიშანი, რომლებიც ამთავრებენ იმ აკრძალვის ნიშნის მოქმედებას, რომელი სიტუაციც მასზეა გამოსახული. შეიცვალა ნიშნების ზომა და გამაფრთხილებელი ნიშნების დადგმის მანძილი უშუალოდ სახიფათო უბნამდე. თუ ძველი ნიშნების დიამეტრი და სამკუთხა ნიშნის გვერდი, რომლებიც იდგებოდნენ I-II კატეგორიის გზებზე, შესაბამისად შეადგენდა 900-900 მილიმეტრს, ახლა წრიული ნიშნის დიამეტრი თითქმის იკივე დარჩა, ხოლო სამკუთხა ნიშნის გვერდი 1.200 მილიმეტრამდე გაიზარდა. საგზაო ნიშნები იქნება სათუურებით განათებული ან შუქმარეკლი ზედაპირით, რომელიც ღამით ავტომობილის შუქფარების სინათლის დაცემით გამოსახულებას.

ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე ახლად შემოღებული ავარიული გარემოების მაუწყებელი ნიშანი, რომელიც ყველა საგრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს ეძლევათ. თუ მძღოლს გზაზე მოუწყვეს ხატრანსპორტო საშუალებათა იძულებითი გაჩერება საკალ ნაწილზე, მაშინ იგი 20-25 მეტრის მოშორებით ვამოდგამს ამ ნიშანს, რაც სხვა ხატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს შესაძლებლობას მისცემს დროზე შეამჩნიონ საფრთხე. ღამით ეს ე. წ. კატაფოტები აღჭურვილი იქნება წითელი ფიციფიცი სინათლით, ან შუქმრეკელი ზედაპირით.

— ხომ არ გამოიწვევს მოძრაობის წესების ახალი დებულება იმის შესახებ, რომ ავარიის თავიდან აცილების მიზნით ნებადართულია ხმოვანი სიგნალის გამოყენება ისედაც ხმაურიანი ბილიოხის ქუჩების კიდევ უფრო ახმაურებას?

— ცივილიზებული მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღების ცენტრში სადღეისოდ თანაბარი აქტიურობით დგას როგორც ხმაურის პრობლემა, ისე მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემა. როცა ისმის კითხვა: არის თუ არა საჭირო ხმოვანი სიგნალი მანქანისათვის, ერთდროულად ორ წინააღმდეგობას ვაწყდებით. მართალია, ხმოვანი სიგნალი ხმაურის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, მაგრამ იგი ამავე დროს საჭიროა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის. აქამდე ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მოძრაობის წესები ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ძრძოლადა ხმოვანი სიგნალის გამოყენებას. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა მძღოლის მხედველობა ნაკლებ ეზღვეოდა ნისლის ან სხვა მიზეზით 20 მეტრზე ახლოს იზღუდებოდა. უსაფრთხო მოძრაობის ზოგიერთი თავისებურების ანალიზმა ცხადყო, რომ ხმოვანი სიგნალი, როგორც გაფრთხილების საშუალება, საჭიროა არა მარტო ნისლიან ამინდში, არამედ მაშინაც, როცა მოძრავი მანქანის წინ მოულოდნელად წარმოიშობა ავარიის საფრთხე. ეს ცვლილება მოძრაობის წესებში, რა თქმა უნდა, მეტად დროული და საჭირო ღონისძიებაა. მაგრამ ეს მძღოლებმა არასწორად არ უნდა გაიგონ. ის მძღოლები, რომლებიც უმიზეზოდ გამოიყენებენ ხმოვან სიგნალს, მკაცრად დასჯიან.

ჩვენს აზრით საჭირო იქნება დამუშავდეს ქალაქში გამოსაყენებელი ერთი სტანდარტის სპეციალური ხმოვანი სიგნალი, რომლის ყურადღება ნაკლებად მკვეთრი, სასიამოვნო მოსასმენი იქნება. ხოლო ის ხმოვანი სიგნალები, რომლებიც საჭირონო სტანდარტით მოჰყვება სამამულო თუ უცხოური წარმოების ავტომანქანებს, გამოყენებულ უნდა იქნას ქალაქგარეთ. ეს უფრო გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს იმიტომ, რომ ახალი წესებით ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მოძრაობის სიჩქარე ვლავ 60 კილომეტრი დარჩა. ამიტომ ნელა მოძრავი მანქანის დაბალი ყურადღების სიგნალიც მისაღებად აღრესატის სმენას. აგრეთვე ასეთ სიჩქარეზე მძღოლს შეუძლია სხვა ისეთი ზომების მიღება, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მოძრაობის უსაფრთხოებას.

ავტოინსპექციის მუშაკი, — თქვა დასასრულ ზ. ხატელიშვილმა, — გამოთქვამენ რწმენას, რომ ახალი წესების შემოღება ხელს შეუწყობს წესრიგის განმტკიცებას ჩვენს დედაქალაქში. თანაც მოძრაობის ყველა მონაწილეს, თვითეულ მოქალაქეს უნდა ასოვდეს ძალაში რჩება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 20 დეკემბრის . ბრძანებულება, რომლითაც განსაზღვრულია მოძრაობის დამრღვევთა მკაცრად დასჯა.

ბაღდადი

ბაღდადი. 4 იანვარი. („კომუნისტის“ სპეც. კორ. ნ. ბაბაიანი). ბაღდადში ჩამოვიდა ინდოეთის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი ბ. ბანერჯი. ინდოელ სტუმარს ბაღდადის ბანკის ხელმძღვანელი ა. ალ-ალუსი ეუბნებოდა ინდოეთ-ერაყის ურთიერთობათა ფართოდ განვითარებაზე.

ბ. ალუიბაია

ბ. ალუიბაია. 4 იანვარი. („კომუნისტის“ სპეც. კორ. ნ. ბაბაიანი). ბ. ალუიბაია ინდოეთ-ბანგლადეშის ომის ფრონტზე ინდოელ ჯარისკაცებს ეუბნებოდა ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობათა ფართოდ განვითარებაზე.

ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1973 წელს შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოუწყვეტლად:

1. ბოტანიკა — 1 ადგილი.
2. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში — 1 ადგილი.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, წარმოებისაგან მოუწყვეტლად — არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი და პედაგოგიურ-მეცნიერული კვლევის უნარი.

უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში მისაღებ გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირნი, რომელთაც ექნებათ უმაღლესი სასწავლებლის (ფაკულტეტის) რეკომენდაცია.

ასპირანტურაში მიღების მსურველები გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხოურ ენაში უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მიხედვით.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით; 1. ნოტარიალურად დამოწმებული დიპლომის პირი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დიპლომის დანართი); 2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; 3. ავტობიოგრაფია; 4. კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით; 5. გამოქვეყნებული შრომები (თუ აქვთ ასეთი) ან სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი); 6. საბუთი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან სათანადოდ დამოწმებული), ან სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია; 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ყველა საბუთი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში 1973 წლის 5 იანვრიდან 15 იანვრამდე. მისაღები გამოცდები 20 იანვრიდან 27 იანვრამდე.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში.

მისამართი: თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი 32; ტელეფონი — 22-50-71.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

5 იანვარი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 1. „არიციას თავგადასავალი“ (V სერია) 2. „სამი ხისმჭრელი“, 11.15 — „მფრინავ პიონერია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — „პანი თვითმავალი და ტამპლიერები“ IV სერია (პრემიერა), 12.50 — მხატვრული ფილმი — „ლერწმის ტყე“, 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 17.20 — ახალი ამბები, 17.30— უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.10 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: „ნაციარქეიანი“ — პიონერთა და მოსწავლეთა სახახლის სპექტაკლი, 19.10 — „სოციალიზმის სამყარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.00 საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ხელოვნების ფესტივალის — „რუსული ზამთრის“ დასკვნითი კონცერტის